ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4342622

ნომერი: AR1655603

თარიღი : 15.01.2019

გაცემის თარიღი : 18.01.2019

გაცნობის თარიღი : 22.01.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, საირმის ქუჩა, N 37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ თხელიძე პ/ნ 01005008943
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 53ა ბ. 29

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 15 იანვრის AR1655603 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
2014 წლის 11 მარტის №1147021 გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთზე მდებარე: ქალაქი თბილისი, ქუჩა საირმის , N 37-ში მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.14.024.009) (695 კვ.მ) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით.
2016 წლის 27 სექტემბრის №2859514 ბრძანებით შევიდა ცვლილება აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტში დაფიქსირდა: სასტუმრო. მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი მიეთითა-1302 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდა- №01.10.14.024.036. ასევე, 2016 წლის 2 აგვისტოს AR1428585 განაცხადის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 17 აგვისტოს #1-1560 ბრძნებით ქ. თბილისში, საირმის ქ. #37, ბურძგლას ქ. #48ა, საირმის ქ. #37ა, საირმის ქ. #39-ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.10.14.024.036) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა: კ2=4,8. ვინაიდან, პარამეტრი მომატებულია სასტუმროს საპროექტო წინადადებით საჭიროა თავდაპირველად განხორციელდეს აღნიშნულ ბრძნებაში ცვლილების შეტანა. რისთვისაც, უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განაცხადი ატვირთოთ ოფიციალურ პორტალზე - Urban.tbilisi.gov.ge, შესაბამის ნომენკლატურაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.